სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
2018 წლის 12 დეკემბრის N307/01-01 ბრძანების
დანართი N1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტებისათვის პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში
სტიპენდიების მინიჭების წესი

1. სტუდენტებისათვის პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიებით დაფინანსება ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებას წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე.
2.სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს 100 ქულიანი სისტემით:
ა)აკადემიური მოსწრება – შეფასდეს 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში, ასევე ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, წინა სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ფაკულტეტზე მოპოვებული კრედიტების ოდენობა - არანაკლებ 27 კრედიტისა) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
ბ)სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება – შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით (მიიღება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები).
გ) სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა – შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).
3.სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი.
4.სტიპენდიით დაფინანსება არ გაიცემა დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე.
5.სტიპენდიით დაფინანსებულ სტუდენტთა ერთიანი სია მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.